

"**ფარცხადაძე რომ არა, სააკაშვიდზე სიმართლეს ვერასდროს გავიგებდით**"



გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ პროკურატურის მიერ გავრცელებულ ჩანაწერებს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მირზა სუბედიანის ჩანაწერები არის აბსოლუტური კოშმარი, რომელიც

დაემატა ზაზა ოქუაშვილის ჩანაწერებს.

„თქვენ არ იცით? სააკაშვილს ჰქონდა აგენტურული ბედმეტი სახელი „რავარიაკი“ და მან 1614 წელს მოკლა საფრანგეთის მეფე ანრი მეოთხე. იქიდან მოყოლებული ფსევდონიმებით სხვადასხვა ქვეყანაში ახორციელებდა პოლიტიკური ფიგურების რიკვიდაციას. ფარცხადაძე რომ არ ყოფილიყო, ჩვენ სიმართლეს ამ პიროვნებაზე ვერასდროს გავიგებდით. სერიოზულად რომ გიპასუხოთ, იმდენს იზამენ, საქართველოს გაერთიანებულ სამეფოსა და „სკოტლანდ იარდთან“ წააჩხუბებენ, რომელიც ძალიან ძვირად დაუჯდება, დამიჯერეთ.

დარწმუნებული იყავით, რომ ეს იზოლირებული შემთხვევები არ არის. უკვე თვენახევარია, რაც დაწყებულია „ომეგასა“ და „იბერიას“ საქმე და ვუყურებთ ამ ხერისუფრების ფასადის რღვევას, რაც აჩვენებს ნამდვირ შეთქმულებას საქართველოს წინააღმდეგ. ჩვენ ვართ კოშმარში, როდესაც სახელმწიფო, კონსტიტუცია, კანონმდებლობა აღარ გვაქვს და ქვეყანას მართავენ პირწავარდნილი ბანდიტები თავისი არაკანონიერი შეიარაღებული ჯგუფების მეშვეობით“, –

განაცხადა გრიგორ ვაშაძემ.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ბადრი პატარკაციაშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტი გაიხსნა. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის მომზადების ფაქტზე, დაკავებულია კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს პირველი სამსახურის ყოფილი უფროსი გიორგი მერებაშვილი, მეორე მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილე რევან ქარდავასა და ამავე სამმართველოს მეორე სამსახურის უფროს რევამ შიუკაშვილს კი წარედგინათ ბრადღებები.

ამასთან, პროკურატურის ინფორმაციით, გიორგი დგებუაძე ადასტურებს, რომ პატარკაციაშვილის მკვლელობის მომზადების საკითხი მიხედვით სააკაშვილის მიერ იყო სანქცირებული.